



საქართველო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება

N 2062
19/11/2018

2062-02-4-201811191800



საქართველო, ქალაქი ამბროლაური ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-
ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; „გენდერული თანასწორობის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1² პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი მარიკა დვალი.

2. დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა, დანართის შესაბამისად.

3. ბრძანება მისი საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე (www.ambrolauri.gov.ge)

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიბე

მუნიციპალიტეტის მერი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია